

პოლისემიის რაობა

პოლისემია – ეკონომიის პრინციპის მოქმედება ენაში

პოლისემია – სამყაროში რეალურად არსებული მსგავსების აღწერისა და გადმოცემის საშუალება

სიტყვის მნიშვნელობის გადატანა – ენის ხატოვანი აზროვნების გამოვლინება

პოლისემია – ერის კულტურული განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელი

პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელობიანობა რეალურად არსებობს ყოველი კონკრეტული ენის სემანტიკურ სისტემაში. პოლისემანტური სიტყვა შედგება რამდენიმე ლოგიკურ-საგნობრივი თვალსაზრისით განსხვავებული მნიშვნელობისაგან, რომლებიც აზრობრივი განსხვავებების მიუხედავად არ არღვევენ პოლისემანტური სიტყვის მთლიანობას და მის ცალკეულ ვარიანტებად გვევლინება.

მაგ. ინგლისურ სიტყვას **father**, როგორც ზემოთ ვნახეთ, მთელი რიგი მნიშვნელობები აქვს:

1. 1) მამა; adoptive father მამობილი; natural father უკანონო შვილის მამა; 2) ქომაგი / მფარველი, ვინც მამობას უწევს *ვინმეს*; to be a father to smb. ვინმესთვის მამობის გაწევა; **2.** 1) *რისამე* შემქმნელი, შემოქმედი; the Fathers (of the Constitution) *ამერ. ისტ.* აშშ-ს კონსტიტუციის ავტორები / შემქმნელები; F. of the Constitution „კონსტიტუციის მამა“ (*პრეზიდენტ ჯ. მედისონის მეტსახელი*); the Fathers of the Church ეკლესიის მამები; 2) მამამთავარი, წინაპარი, ფუძემდებელი; the F. of English printing ინგლისში წიგნის ბეჭდვის მამამთავარი (*უ. კექსტონის მეტსახელი*); father of English poetry ინგლისური პოეზიის ფუძემდებელი (*ჯ. ჩოსერის მეტსახელი*); 3) წინამორბედი; პროტოტიპი; **3.** უხუცესი წევრი; უფროსი, ხელმძღვანელი; city fathers ქალაქის თავნი / ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრები / ოლდერმენები; **4.** (F.) მამაზეციერი, ღმერთი; **5.** სულიერი მამა, მოძღვარი; მღვდელი; ეპისკოპოსი.

რა იწვევს პოლისემიის წარმოშობას?

რატომ უჩნდება სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა?

სპეციალურ ლიტერატურაში პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად ენაში ეკონომიის პრინციპის მოქმედება სახელდება – შინაარსის პლანის მრავალკომპონენტურობა გამოხატვის პლანში ერთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ამით, თითქოს გადაიტყრება ის წინააღმდეგობა, რაც არსებობს ენის შედარებით შეზღუდულ რესურსებსა და სამყაროს უსასრულო კონკრეტულობას შორის.

არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

სიტყვის პოლისემია განპირობებულია არა მარტო ეკონომიის პრინციპის მოქმედებით, რაც თავისთავად უადრესად მნიშვნელოვანია, არამედ,

რეალური მსგავსებით იმ საგნებსა და მოვლენებს შორის, რომლებიც ენაში ერთნაირად ანუ ერთი სიტყვით სახელდება. სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანის აზროვნება ცდილობს ასახოს არა მარტო ცალკეული საგნები და მოვლენები, არამედ, ის რეალური მსგავსებაც, რაც მათ შორის არსებობს.

მაშასადამე, პოლისემიის აღმოცენება განპირობებულია ადამიანის აზროვნების თავისებურებით ასახოს ენაში სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ:

სამყაროს შემეცნების პროცესში ადამიანის აზროვნება ცდილობს ახალი, შეუცნობელი საგნები და მოვლენები ასახოს მათი კავშირებისა და მიმართებების მეშვეობით უკვე ნაცნობ, შემეცნებულ საგნებთან და მოვლენებთან. ე.ი. პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის აზროვნების უნარი სამყაროს შემეცნების პროცესში მისი მრავალფეროვნება დაიყვანოს ერთიანობაზე.

პოლისემიის წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი, ბევრი ენათმეცნიერის აზრით, თვით ლექსიკური მნიშვნელობის ბუნებითაა განპირობებული. მნიშვნელობის აბსტრაქტული ბუნება, მისი განმაზოგადებელი ფუნქცია უნდა განვიხილოთ, როგორც პოლისემიის აღმოცენების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

პოლისემიის პრობლემა ბევრ კერძო საკითხს მოიცავს.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

უაღრესად საინტერესოა მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების, ანუ ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების (ლ ს ვ)* სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხი.

რიგი ენათმეცნიერებისა მიიჩნევენ, რომ პოლისემანტური სიტყვის ყველა მნიშვნელობა თანასწორია. სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში**, მათი აზრით, გამოიყოფა საერთო ინვარიანტული მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს პოლისემანტური სიტყვის აზრობრივ ერთიანობას. პოლისემანტური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობები განიხილება, როგორც მოცემული ინვარიანტული მნიშვნელობის თანასწორუფლებიანი ვარიანტები.

სხვა, უფრო გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურულ ორგანიზაციაში არსებობს იერარქია და სიტყვის ცალკეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები ყოველთვის არ არის თანასწორი. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის აზრობრივი ერთიანობა განსაზღვრულია არა „საერთო ინვარიანტული მნიშვნელობის“ არსებობით, არამედ სხვადასხვა სახის აზრობრივი კავშირების, სემანტიკური „ძაფების“ არსებობით, რომლებიც განაპირობებენ პოლისემანტური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების შინაგან გადაჯაჭვულობასა და დაქვემდებარებას და სიტყვას ერთიანი იერარქიული სტრუქტურის სახეს აძლევენ.

ამრიგად, პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული და სხვადასხვა სახის აზრობრივი კავშირებით ერთიან სტრუქტურაში გაერთიანებული, იერარქიულად დალაგებული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების სიმრავლეს.

* ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი, ლ ს ვ პოლისემანტური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობაა.

** სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ანუ სიტყვის პოლისემანტური სტრუქტურა მისი ცალკეული მნიშვნელობების ერთობლიობაა.

პოლისემანტური სიტყვის ცალკეულ მნიშვნელობებს შორის არსებული აზრობრივი კავშირები წარმოშობენ სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური

ვარიანტების სხვადასხვა არანაშრობებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება **პოლისემანტიური სიტყვის სტრუქტურის სხვადასხვა სქემა, კარკასი, მოდელი.** ჩვენს მიერ აღწერილია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის რამდენიმე უნივერსალური მოდელი:

- მზისებრი მოდელი
- ერთგანზომილებიანი მოდელი
- მრავალგანზომილებიანი მოდელი.

მრავალგანზომილებიანი მოდელი თავის მხრივ იყოფა სამ მოდელად:

- ეკვიპოლენტიური
- კიბისებური
- შერეული (იხ. ლექცია 6).

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში ჩვეულებრივ გამოიყოფა **ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობები.**

ძირითადია ის მნიშვნელობა, რომელიც თავისუფალია და მკაფიოდ გამოიყოფა სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მაგ.: ძირითადი მნიშვნელობაა „მამა“ სიტყვისათვის father;
„სქელი“ სიტყვისათვის thick;
„თხელი“ სიტყვისათვის thin;
„პატარა“ სიტყვისათვის little;

გადატანითია ის მნიშვნელობა, რომელიც მკაფიოდ გამოიყოფა სიტყვის ვიწრო კონტექსტში ხმარების დროს. ამასთან, გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა უფრო ნაკლებად იხმარება, ვიდრე ძირითადი მნიშვნელობით.

მაგ.: გადატანითი მნიშვნელობაა:

„მამამთავარი, ფუძემდებელი“ სიტყვისათვის father (father of English poetry);
„ხშირი“ სიტყვისათვის thick (thick forest, thick hair);
„უშინაარსო“ სიტყვისათვის thin (thin plot);
„უმნიშვნელო“ სიტყვისათვის little (little business).

პოლისემანტიური სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა, ანუ ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი ორმხრივი ენობრივი ნიშანია, მას აქვს როგორც შინაარსის პლანი, ისე გამოსატვის პლანი.

საყურადღებოა ის, თუ რა წარმოადგენს ლ ს ვ-ის გამოსატვის პლანს. ვინაიდან პოლისემანტიური სიტყვის მნიშვნელობები ერთი და იმავე სიტყვას უკავშირდება, ცხადია მხოლოდ სიტყვა, მისი ბგერითი ფორმა ვერ იქნება ლ ს ვ-ს გამოსატვის პლანი. ლ ს ვ-ს გამოსატვის პლანის ფუნქციას ასრულებს ენის სხვა საშუალებები – ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური, რომელთა მეშვეობითაც ხდება სწორედ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის ცალკეული მნიშვნელობების რეალიზაცია. პოლისემანტიური სიტყვების შესწავლის დროს

მნიშვნელოვანია იმ სისტემური ენობრივი საშუალებების გამოვლენა, რომლებიც ახდენენ ცალკეული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების დიფერენციაციასა და რეალიზაციას. ასეთ საშუალებად გვევლინება სწორედ **სემანტიკური კონტექსტი (იხ. ლექცია 7).**

Thin wall
thin man
thin forest
thin hair
thin mist
thin smoke
thin porridge
thin plot და ა.შ.

სწორედ ზემოთმოყვანილი სემანტიკური კონტექსტი (wall, man, forest, hair, mist, smoke, porridge, plot) გვაძლევს საშუალებას გავმიჯნოთ ინგლისური სიტყვა

thin-ის ისეთი მნიშვნელობები, როგორცაა:

თხელი (კედელი),

სუსტი, გამხდარი, თხელი (კაცი),

მეჩხერი (ტყე, თმა),

მსუბუქი (ნისლი, კვამლი),

წყალწყალა (ფაფა),

უშინაარსო (სიუჟეტი).